საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 21 მაისის
დადგენილება №921

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ახალი საგანმანათლებლო პროგრამები:
ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო მენეჯმენტი“,
ბ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მათემატიკა“, რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც მოდიფიცირებული, პროგრამაში შეტანილი ძირეული ცვლილებების გამო, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდეს როგორც ახალი საგანმანათლებლო პროგრამა;
გ) მაგისტრატურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „ტექნოლოგიების მენეჯმენტი და პოლიტიკა“;
დ) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“;
ე) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამედიცინო ფიზიკა“;
ვ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;
ზ) ფიზიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ერთწლიანი).
2. დამტკიცდეს პირველ პუნქტში მითითებული პროგრამების და შეაბამისი მოდულების ხელმძღვანელები. პროგრამის ჩმონათვალი შესაბამისი პროგრამისა და მოდულის ხელმძღვანელის მითითებით თან ერთვის (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე